სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს შიდა აუდიტის
2017 წლის დასკვნა

შინაარსი:

1. შესავალი ---------- 3
2. 2016-2017 წლების ბიუჯეტის მაჩვენებლების ზოგადი შედარება ---------- 4
3. 2017 წლის სსიპ „საზოგადეობრივი მაუწყებელი“-ს ბიუჯეტი ---------- 5
4. რეზიუმე ---------- 9

შესავალი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს ბიუჯეტს ქმნის ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახდელები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ბიუჯეტი დგება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს კანონის შესაბამისად.

ბიუჯეტის შედგენაზე, შესრულებაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს გენერალური დირექტორის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი იყო სამეურვეო საბჭოსთვის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს სამეურვეო საბჭოს 2016 წლის 27 დეკემბრის N356 (ოქმი N335) გადაწყვეტილებით - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად მიღებული იქნა და დამტკიცდა 2017 წლის ბიუჯეტი. ამავე წლის 14 ივლისს გენერალური დირექტორის წარდგინებით სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილება N386 (ოქმი N356) ბიუჯეტში მოხდა ცვლილებების შეტანა. ასევე, 2017 წლის 1 დეკემბერს გენერალური დირექტორის წარდგინებით სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით N397 (ოქმი N364) განხორციელდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და შესაბამისად დამტკიცდა კორექტირებული ბიუჯეტი.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია მოქმედი მაუწყებლობის შესახებ კანონის დაცვით.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესრულებული სამუშაოების და გაწეული ხარჯების ჯამური შედეგები. შესრულების ნაწილში გაკეთებულია შედარება წინა წლის საბიუჯეტო მაჩვენებლებთან. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სახელმწიფო სახაზინო ანგარიშიდან და ეკონომიკური და სხვა შემოსულობებიდან მიღებული დაფინანსების წყაროების და შესაბამისად მათი ხარჯვის ძირითადი მუხლების შესახებ.

საანგარიშგებო და გასული პერიოდის ბიუჯეტის მაჩვენებლების ზოგადი შედარება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს 2016 წელს ათვისებული ბიუჯეტი შეადგენდა 39 849 579 ლარს, 2017 წელს 46 064 510 ლარს. წინა წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 6 214 931 ლარს, 15,59%.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს 2016 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა ნებადართულ საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 203 729 ლარი, 2017 წელს 2 880 975,51 ლარი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს 2016 წლის გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 39 849 579 ლარი, 2017 წლის ხარჯმა 46 064 510 ლარი. საიდანაც, 2016 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეული ხარჯი იყო 37 869 532 ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან 1 980 047 ლარი, ხოლო 2017 წელს შესაბამისად 39 442 929 ლარი და 6 621 581 ლარი.

2016 წელს ათვისებული სრული ბიუჯეტის 4,97 %-ს შეადგენდა ეკონომიკური და კანონის შესაბამისად განსაზღვრული სხვა შემოსავლების მაჩვენებელი, ხოლო 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 14,37 %-ს შეადგენს.

2017 წლის სსიპ „საზოგადეობრივი მაუწყებელი“-ს ბიუჯეტი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს ბიუჯეტის მაჩვენებლები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 2017 წელი	დამტკიცებული ბიუჯეტი 2017 წელი		კორექტირებული ბიუჯეტი 2017 წელი				სულ ჯამური სხვაობა	ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი 2017 წელი				შესრულება %	
	ხაზინა	ბანკი	ხაზინა კორექტირებული	ბანკი კორექტირებული	სხვაობა წარდგენილ ბიუჯეტსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სხვაობა წარდგენილ ბანკს და კორექტირებულ ბანკს შორის		ხაზინა ფაქტიური შესრულება	ბანკი ფაქტიური შესრულება	სხვაობა კორექტირებულ ხაზინასა და ფაქტიურად შესრულებულ ხაზინას შორის	სხვაობა კორექტირებულ ბანკსა და ფაქტიურად შესრულებულ ბანკს შორის	ხაზინა	ბანკი
სამეურვეო საბჭო	591,645	-	565,599	26,045	26,046	(26,045)	1	523,532	29,564	42,067	(3,519)	93%	114%
მონიტორინგის სამსახური	92,160	-	61,440	-	30,720	-	30,720	61,440	-	-	-	100%	0%
ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	10,085,744	2,951,499	9,051,942	1,914,329	1,033,802	1,037,170	2,070,972	9,358,072	1,647,160	(306,130)	267,169	103%	86%
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	4,136,054	135,960	2,789,420	1,336,930	1,346,634	(1,200,970)	145,664	2,775,462	1,497,401	13,958	(160,471)	99%	112%
მედიაწარმოების ბლოკი	6,089,293	518,376	5,501,922	1,123,932	587,371	(605,556)	(18,185)	4,981,527	1,026,866	520,395	97,066	91%	91%
წარმოებისა და ტექ უზრუნველყოფის ბლოკი	10,873,087	1,795,431	14,086,332	909,012	(3,213,245)	886,419	(2,326,826)	14,344,525	901,976	(258,193)	7,036	102%	99%
ადმინისტრაციისა და ფინანსების ბლოკი	5,807,213	231,103	5,615,561	1,259,971	191,652	(1,028,868)	(837,216)	5,580,445	1,185,845	35,116	74,126	99%	94%
გადასახდელები	1,767,806	94,891	1,770,784	364,199	(2,978)	(269,308)	(272,286)	1,817,925	332,769	(47,141)	31,430	103%	91%
სულ:	**39,443,000**	**5,727,260**	**39,443,000**	**6,934,418**	**-**	**(1,207,158)**	**(1,207,156)**	**39,442,928**	**6,621,581**	**-**	**312,837**		**95%**

საბიუჯეტო შემოსულობები

2017 წლის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი სახელმწიფოს სახაზინო ანგარიშიდან დაფინანსდა 39 442 929 ლარით, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლით 6 621 581 ლარი. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით დახარჯული თანხა მოიცავს როგორც 2017 წელში მიღებულ შემოსავალს, ასევე გასული წლიდან გადმოსულ გაუხარჯავ შემოსავალს.

საწყისი ნაშთი	**ფაქტიური შემოსავალი**	**ფაქტიური ხარჯი**	**ნაშთი**
01.01.2017	**2017 წელი**	**2017 წელი**	**31.12.2017**
4 144 205	**2 880 975**	**6 621 581**	**403 600**

2017 წლის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს კომერციული და სხვა კანონით ნებადართული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 880 975.51 ლარი.

აღნიშნული შემოსავლები შემდეგ კატეგორიებზე ნაწილდება:

- გრანტი 21 600 ლარი
- იჯარიდან შემოსავლები 373 659 ლარი
- სპონსორობიდან შემოსავალი 848 137 ლარი
- საარქივო მომსახურეობიდან შემოსავალი 10 170 ლარი
- დეპოზიტის პროცენტი 530 729 ლარი
- სხვადასხვა შემოსავლები 1 096 680 ლარი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს მიერ 2017 წელს გაწეული ხარჯები

ხელფასები

2017 წელს შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 23 529 377 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 1 719 534 ლარი, სულ - 25 248 912 ლარი.

- ➢ სამეურვეო საბჭო 509 044 ლარი
- ➢ მონიტორინგის სამსახური 61 440 ლარი
- ➢ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი 5 773 224 ლარი
- ➢ მედიის და კომუნიკაციია ბლოკი 2 154 542 ლარი
- ➢ მედიაწარმოების ბლოკი 4 718 812 ლარი
- ➢ წარ და ტექ უზრუნველყოფის ბლოკი 8 761 679 ლარი
- ➢ ადმინ და ფინანსების ბლოკი 3 360 171 ლარი

მივლინებები

2017 წელს მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან შეადგინა 1 480 664 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 46 533 ლარი, სულ - 1 527 197 ლარი.

- ➢ სამეურვეო საბჭო 16 662 ლარი
- ➢ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი 1 108 566 ლარი
- ➢ მედიის და კომუნიკაციია ბლოკი 50 261 ლარი
- ➢ მედიაწარმოების ბლოკი 271 106 ლარი
- ➢ წარ და ტექ უზრუნველყოფის ბლოკი 65 226 ლარი
- ➢ ადმინ და ფინანსების ბლოკი 15 376 ლარი

სამეურვეო საბჭოს ხარჯი

2017 წლის სამეურვეო საბჭოს ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან შეადგინა 523 532 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 29 564 ლარი, სულ 553 096 ლარი.

აღნიშნული ხარჯები შემდეგ კატეგორიებზე ნაწილდება:

- ➢ ჰონორარი 353 745 ლარი
- ➢ სხვა ხარჯები 199 350 ლარი

მონიტორინგის სამსახური

2017 წელს მონიტორინგის სამსახურს საბიუჯეტო სახსრებიდან დაუფინანსდა მხოლოდ ჰონორარის ხარჯი 61 440 ლარი.

მარკეტინგის ხარჯი

2017 წელს მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 73 115 ლარი. საბიუჯეტო სახსრებიდან გაიხარჯა 29 560 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 43 555 ლარი.

- ➢ კვლევები 1 937 ლარი
- ➢ ბრენდირება 39 092 ლარი
- ➢ გარე კერლამის ხარჯი 11 535 ლარი
- ➢ მარკეტინგის სხვა ხარჯი 20 551 ლარი

პროდიუსინგის ხარჯები

2017 წელს მაუწყებლის მიერ სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე სულ დაიხარჯა 8 649 288 ლარი. საბიუჯეტო დაფინანსებიდან დაიხარჯა 5 811 487 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 2 837 801ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ➢ პირდაპირი ჩართვები და ინფორმაციის გადმოგორება 879 661 ლარი
- ➢ დეკორაციების შესყიდვა 53 684 ლარი
- ➢ მიმდინარე გადაცემების ხარჯი 367 993 ლარი
- ➢ პროექტი თვითმმართველობის არჩევნები 91 948 ლარი

- ➢ ლიცენზიები 2 588 633 ლარი
- ➢ მზა პროდუქციის შესყიდვა 119 364 ლარი
- ➢ მექანიკური პროდუქცია (სერიალები, ფილმები და სხვა) 960 688 ლარი
- ➢ დიდების და საბავშვო ევროვიზიის კონკურსი 1 186 651 ლარი
- ➢ შოუ „რანინა“ 161 579 ლარი
- ➢ ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი 192 600 ლარი
- ➢ ტელე რადიო ცენტრი (სიგნალის გავრცელება) 1 284 000 ლარი
- ➢ სატელიტის მომსახურება 481 974 ლარი
- ➢ ტექნიკის იჯარა 250 953 ლარი
- ➢ სხვა საპროდიუსინგო ხარჯი 29 560 ლარი

ადმინისტრაციული ხარჯი

2017 წლის ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 381 269 ლარი. საბიუჯეტო სახსრებიდან გაიხარჯა 2 274 333 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 1 106 936 ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ➢ წყალი 86 815 ლარი
- ➢ ელ ენერგია 356 688 ლარი
- ➢ ბუნებრივი აირი 14 947 ლარი
- ➢ დასუფთავება (მ. შ. სანიტარული) 111 999 ლარი
- ➢ ტრანსპორტის მომსახურეობის ხარჯი (შეკეთება, სათადარიგო ნაწილები, საბურავები, GPS მომსახურება, სითი-პარკი, დაზღვევა) 234 836 ლარი
- ➢ საწვავ საპოხი მასალა (ბენზინი, დიზელი, ზეთი, ფილტრი) 260 391 ლარი
- ➢ ავტოპარკის განახლება 728 832 ლარი
- ➢ სატელეფონო ხარჯი 108 889 ლარი
- ➢ 112-ის მომსახურება 7 096 ლარი
- ➢ შენობა-ნაგებობების დაცვა 232 200 ლარი
- ➢ საოფისე ტექნიკა, ინვენტარი, საკანცელარიო საქონელი 67 508 ლარი

- ➢ სამშენებლო სარემონტო სამუშაოები 238 275 ლარი
- ➢ კონდიციონერების და სხვა მანქანა დანადგარების შეძენა და რემონტი 87 401 ლარი
- ➢ ელ მასალები და საჭირო ხელსაწყოები 29 801 ლარი
- ➢ გაზეთები და სამეცნიერო ჟურნალები 12 181 ლარი
- ➢ თანამშრომელთა დაზღვევა 358 703 ლარი
- ➢ სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 444 707 ლარი

სხვა გადახდების შესახებ

2017 წელს მაუწყებელმა სხვა გადახდებში დახარჯა 6 570 193 ლარი. საბიუჯეტო სახსრებიდან დაიხარჯა 5 732 535 ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან 837 658 ლარი.

ხარჯების ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ➢ ევროპის მაუწყებლობის კავშირი (EBU) 445 875 ლარი
- ➢ დღგ 1 467 669 ლარი
- ➢ ქონების გადასახადი 11 901 ლარი
- ➢ მიწის გადასახადი 16 714 ლარი
- ➢ საავტორო უფლებები 112 993 ლარი
- ➢ ჰარისის სისტემის მოდერნიზაცია 123 530 ლარი
- ➢ კამერები 2 849 400 ლარი
- ➢ ვიდეო აუდიო ტექ სათადარიგო ნაწილები 110 844 ლარი
- ➢ ელემენტები, მყარი დისკები, კასეტები 173 470 ლარი
- ➢ სხვადასხვა დასახელების ხარჯი 1 257 797 ლარი

რეზიუმე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს 2017 წლის დაფინანსების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო გეგმის მიხედვით შეადგენდა 39 443 000 ლარს, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან გაიხარჯა 39 442 928 ლარი, სხვაობა ძალიან უმნიშვნელოა.

2017 წელს დაგეგმილი იყო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა 6 934 418 ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 6 621 581 ლარი. დაიხარჯა 312 837 ლარით ნაკლები - 5%.

2017 წლის ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურული სურათით 55%-მდე მოდის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, პროდიუსინგის ხარჯებზე 19%-მდე, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე და კანონით გათვალისწინებულ გადასახდელებზე 14% და ადმინისტრაციულ ხარჯებზე (დაცვა, დასუფთავება და სხვა) დახარჯული ბიუჯეტის 7%-ზე მეტი.

2017 წელში დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტის კორექტირება მოხდა ორჯერ, კორექტირებული ბიუჯეტის ბოლო ვარიანტი აკმაყოფილებს საფინანსო დოკუმენტის სტანდარტების მოთხოვნებს, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში.

შიდა აუდიტორი

რატი გედიანიძე

27.04.2017 წ